პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 26 თებერვალი, 1944 წ. № 41 (6935). ფასი 20 კაპ.

წითელი არმიის გამარჯვებებში მთელი ხალხის გმირული ღონისძიებებია

„პრავდის“ მოწინავე — 25 თებერვალი

იმ დღეს, როცა მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანების ბრძნული სიტყვები, მოსკოვმა მესამოცეჯერ მისცა სალუტი წითელი არმიის მამაც ჯარებს. მხოლოდ დღე-ღამემ გაიარა — და აი მოსკოვი კიდევ ორჯერ გაანათა გამარჯვების ფეიერვერკთა შუქმა. ბალტიისპირეთის მეორე ფრონტის ჯარებმა, ლენინგრადის ფრონტის ჯარების პირდაპირი ხელშეწყობით, 24 თებერვალს დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი ფსკოვის მიმართულებით — ქალაქი და მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი დნო. ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარებმა ერიშით დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ბობრუისკის მიმართულებით — ქალაქი და რკინიგზის დიდი საჯდგური როგაჩოვი.

წელიწადზე მეტია, რაც წითელი არმია ძლევამოსილ შეტევას ეწევა. მტერი უკვე განდევნილია მის მიერ დაპყრობილი საბჭოთა მიწა-წყლის თითქმის სამი მეოთხედიდან. წითელი არმია საბარაჯიანოს დიდებით მოსავს თავის თავსა და თავის ხალხს, თავის დიად სამშობლოს.

ჩვენი ჯარების ყოველი წარმატება საბჭოთა ხალხში იწვევს კიდევ უფრო დიდ მისწრაფებას—გაძლიეროს დახმარება ფრონტისადმი. „სამშობლოს ზრომითი სალუტი“, — ასე უწოდეს საბჭოთა ადამიანებმა საამხედრო გამარჯვებათა აღსანიშნავად მოპოვებულს თავიანთ ახალ საწარმოო მიღწევებს.

წითელი არმიის გამარჯვებებში არის ყველა საბჭოთა ადამიანის გმირული ღონისძიებები. „წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევა შესაძლებელი გახდა ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საბჭოთა ადამიანების ახალი შრომითი საგმირო საქმეების შეიარაღებით. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა წითელი არმიის მიერ ფრონტებზე ზაფხულში მოპოვებული გამარჯვებანი განამტკიცეს ახალი საწარმოო გამარჯვებებით ზურგში“ (ი. სტალინი).

მთელი სამამულო ომის მანძილზე ზურგის მშრომელთა დამსახურებას განუწყვეტლივ მაღალ შეფასებას აძლევდა დიდი სტალინი. ასეთია შეფასება სამშობლოს მხრივ, ხალხის მხრივ, არმიის მხრივ, ბოლშევიკების პარტიის მხრივ. წითელი არმიის XXVI წლისთავისადმი მიძღვნილ ბრძანებაში ამხანაგმა სტალინმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა ჩვენი მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის გმირული შრომის სიდიადე.

„ჩვენი შრეწველობის მუშები დაწესებულ სახელმწიფო გეგმებს ვადამდე ასრულებენ მთლიანად და გადაჭარბებით, წყაროებში შეჰყავთ ახალი ქარხნები, ბრძმედები და ელექტროსადგურები, განთავისუფლებულ რაიონებში უმაგალითოდ მოკლე ვადებში აღადგენენ ოკუპანტების მიერ დანგრეულ ინდუსტრიას. მუშათა კლასის გმირული ღონისძიებანი კიდევ უფრო ანმტკიცებენ წითელი არმიის სამხედრო-მატერიალურ ბაზას და ამით აახლოებენ ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამს“. (ი. სტალინი).

სტალინის სიტყვებში შეჯამებულია ამ უკანასკნელი წლის მანძილზე მუშათა კლასის მიერ გაწეული გიგანტური შუშობა. მოსპო რა გერმანელთა ყოფილი უპირატესობა ტანკებისა და თვითმფრინავების, ნაღმსატყორცნებისა და ავტომატების რაოდენობის მხრივ, ჩვენი მუშათა კლასი მიღწეულით რადი დაკმაყოფილდა. ამ უკანასკნელ თვეებში საბჭოთა მრეწველობამ ახალი ნაბიჯი გადადგა წინ საბრძოლო ტექნიკის წარმოების გადიდების საქმეში და გარკვეულ წარმატებებს მიაღწია საჭურვლის ხარისხის გაუმჯობესებაში. საბჭოთა კონსტრუქტორები კვლავ დაუღალავად მუშაობენ არსებული ტიპის თვითმფრინავების, ტანკების, ქვემეხების გაუმჯობესებაზე, აგრეთვე განაგრძობენ ახალ-ახალი ნიმუშის საჭურვლის შექმნას. ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები ისწრაფვიან, რაც შეიძლება უფრო სწრაფად აითვისონ გაუმჯობესებულ ნიმუშთა მასობრივი წარმოება. და ჩვენმა მოწინავე საწარმოებმა ამა წლის იანვარ-თებერვალშივე შესძლეს შეესრულებინათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ახალი დიდმნიშვნელოვანი დავალებანი. წითელ არმიას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მუშათა კლასის მხრივ მისდამი დახმარება სულ უფრო და უფრო გაიზრდება!

„საბჭოთა გლეხობა სახელმწიფოს აძლევს სურსათს არმიისა და ქალაქებისათვის, ნედლეულს მრეწველობისათვის, თავდადებულ დახმარებას უწევს წითელ არმიას“,—ნათქვამია ამხანაგ სტალინის ბრძანებაში. სტალინის სიტყვების საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს აზერბაიჯანისა და საქართველოს, ტაჯიკეთისა და სომხეთის, კრასნოდარის მხარისა და მოსკოვის ოლქის კოლმეურნეთა, კოლმეურნე ქალთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიღწევები, რაც ამას წინათ აღნიშნულ იქნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით. სოფლის მეურნეობის განვითარებაში სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე ყირიმის, კალინინის, იაროსლავლის, ივანოვოს და სხვა ოლქებმა.

გასულ წელს საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკებმა, მხარეებმა და ოლქებმა მიაღწიეს მოსავლიანობის გადიდებას, მეცხოველეობის შემდგომს განვითარებას, შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე, გეგმის გადამეტებით მიჰყიდეს სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტები და თადარიგიანად ეშზადებიან მომავალი საგაზაფხულო თესვისათვის. წითელ არმიას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ კოლმეურნე გლეხობა კვლავაც პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას.

„საბჭოთა ინტელიგენცია პირდაპირს ხელმძღვანელ დახმარებას უწევს შუშებსა და გლეხებს წარმოების გაშლისა და წითელი არმიის საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში“,—ნათქვამია ამხანაგ სტალინის ბრძანებაში. საჭურვლის ახალი კონსტრუქციები, წარმოების ორგანიზაციის ახალი მეთოდები, ტექნოლოგიის გაუმჯობესება, მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაშრომები ჩვენი სამშობლოს, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი რესპუბლიკებისა და ოლქების ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენების დარგში,—ყოველივე ეს ნაყოფია საბჭოთა ინტელიგენციის დაუღალავი შრომისა, რასაც იგი ეწევა მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ, რომელიც ამ დღეებში შესდგა, დაამტკიცა დიდი პროგრამა ამა წლის ახალი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომელთა შესრულებაც ახალი შენატანი იქნება წითელი არმიის დახმარების საქმეში. წითელ არმიას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ საბჭოთა ინტელიგენციის მხრივ მისდამი დახმარება განუწყვეტლივ იმატებს.

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეეგება ამხანაგ სტალინის ისტორიულ ბრძანებას. მთელ საბჭოთა კავშირს მოედო მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის მიტინგებისა და კრებების ტალღა, და როგორც ყოველთვის, სტალინის სიტყვა არის დიადი დამრაზმავი ძალა, იგი მოგვეწოდებს ძალ-ღონის ახალი დაძაბვისაკენ, მას მივყეოთ მტერზე სრული და საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად. ჩვენ უფასკრულთან მივიყვანთ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს და შიგ გადავჩეხავთ მათ!—ასე უპასუხებენ საბჭოთა ადამიანები ბელადის ბრძანებას. ისინი ამბობენ:

— მეტად დიდია ჩვენი წარმატებანი, მაგრამ ჯერ მტერი საბოლოოდ არ გაგვინადგურებია, უფლება არა გვაქვს დავმშვიდდეთ.

და ამიტომ ქარხნებისა და კოლმეურნეობათა მასობრივ მიტინგებზე საბჭოთა ადამიანები კისრულობენ ახალ-ახალ სოციალისტურ ვალდებულებას — კიდევ უფრო მეტად დაძაბონ თავიანთი ღონისძიებანი, რათა უზრუნველჰყონ ჩვენი სამშობლოს სამხედრო და ეკონომიური ძლიერების შემდგომი ზრდა.

ამხანაგმა სტალინმა თავის ბრძანებაში იმის რწმენა გამოსთქვა, რომ საბჭოთა ხალხი თავისი გმირული შრომით მომავალშიც უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განუწყვეტელ ზრდას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა უსწრაფესი და საბოლოო განადგურებისათვის. ამას საბჭოთა ადამიანები უპასუხებენ:

— მტერზე საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად ჩვენ მზადა ვართ ახალ-ახალი გმირობისათვის ფრონტზე და ზურგში!

დარბაზობა საბჭოთა საელჩოებსა და მისიებში საზღვარგარეთ წითელი არმიის XXVI წლისთავის აღსანიშნავად

ლონდონი, 23 თებერვალი (საკდესი). სსრ კავშირის საელჩოში დღეს შესდგა დარბაზობა წითელი არმიის XXVI წლისთავის აღსანიშნავად.

დარბაზობას დაესწრნენ ინგლისის მთავრობის წევრები, მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობების წევრები, დიპლომატიური კორპუსი, ინგლისის პარლამენტისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს წევრები, საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის ლონდონის დელეგაციის წევრები, დიპლომატიური კორპუსი, აგრეთვე ხელოვნების, მეცნიერების მოღვაწენი და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

ნიდერი, 23 თებერვალი (საკდესი). საბჭოთა მისიამ ჰანგერაში 21 თებერვალს დარბაზობა გამართა წითელი არმიის XXVI წლისთავის გამო. დაესწრნენ ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი კერტენი, საზღვაო მინისტრი და საომარ მასალათა მინისტრი მეიკინი, შინაგან საქმეთა მინისტრი კოლინგსი, პარლამენტის წევრები, დიპლომატიური კორპუსი, საზოგადოებრივი და საეკლესიო ორგანიზაციების წარმომადგენელნი და სხვ.

ანკარა, 24 თებერვალი (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საელჩოში შესდგა დარბაზობა წითელი არმიის XXVI წლისთავის გამო. დარბაზობას დაესწრნენ პრემიერ-მინისტრი სარაჯოღლუ, საგარეო საქმეთა მინისტრი ნუმან მენემენჯიოღლუ და თურქეთის მთავრობის სხვა წევრები, თურქეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელი შემადგენლობა გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის გენერალ სალიხ ომურტაკის მეთაურობით, ეროვნული დეპუტატები, ნეიტრალური და მეგობარი ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, თურქული და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები და თურქეთის მთელი რიგი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები.

მიტინგი ბოღოტაში წითელი არმიის XXVI წლისთავის აღსანიშნავად

ლონდონი, 25 თებერვალი (საკდესი). ბოლტონში (ლანკაშირი) წითელი არმიის XXVI წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა დიდი მიტინგი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

25 თებერვლის ოპერაციული ცნობა

25 თებერვლის განმავლობაში სტრუგი კრასნიეს სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს დასახლებული პუნქტები **მელნიცი, ლუტოვო, პლოშჩანი, კვაშენკინა გორკა, კეგს

კ. ნ. ლესელიძე

21 თებერვალს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძე. ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილი, მგზნებარე ბოლშევიკი, სტალინური წრთობის ნიჭიერი სარდალი, მომხიბლავი ადამიანი, საუცხოო ამხანაგი.

კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძე დაიბადა დასავლეთ საქართველოში, გურიაში—მახარაძის რაიონის სოფელ ხვარბეთში. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ლესელიძემ სამშობლოს კეთილშობილურ სამსახურს შესწირა. 18 წლისა სამხედრო სასწავლებელში შევიდა და თავის მუდმივ პროფესიად აირჩია არტილერისტის საპატიო და რთული საქმე.

ბევრი მებრძოლი და ჭეთაური იცნობდა კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეს, როგორც დივიზიონის მეთაურს, პოლკის მეთაურსა და დივიზიის მეთაურს, არმიის არტილერიის უფროსს, ამ თანამდებობაში მოუსწრო მას თეთრფინელთა წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა.

არტილერიის ქვეგანაყოფები, რომელებსაც ლესელიძე ხელმძღვანელობდა, დაუნდობლად ამსხვრევდნენ თეთრფინელთა თავდაცვას და გზას უკაფავდნენ ჩვენს ქვეითებს.

დაიწყო დიდი სამამული ომი. ნაწილები, რომლებსაც ლესელიძე მეთაურობდა, მაგრად ურტყამდნენ გერმანელ ფაშისტთა ურდოებს სმოლენსკჩინის მიწაზე და დასავლეთის ფრონტის სხვა უბნებზე.

1942 წლის შემოდგომაზე, კავკასიისათვის წარმოებული ბრძოლის დღეებში, გენერალ-ლეიტენანტ ლესელიძის ჯარებმა გზა გადაუღობეს გერმანელ ოკუპანტებს კავკასიონის ქედის ფოლტეხილებზე. დახელოვნებულმა, გაბედულმა, თანამედროვე ომის გამოცდილებას დაფფლეულმა, ინიციატივიანმა მეთაურმა, გენერალმა ლესელიძემ კავკასიის მთის ძირებში ბრძოლის დღეებში დიდება მოუხვეჭა თავის ხალხს და თვითონაც გაითქვა სახელი.

1943 წელს ლესელიძე იმ არმიის სათავეში იდგა, რომელიც გერმანელ დამპყრობთაგან სწმენდდა ყუბანს. შავი ზღვის ფლოტის ნაწილებთან თანამოქმედებით ლესელიძის არმიამ სექტემბრის დღეებში იერიში მიიტანა ნოვოროსიისკზე და ხუთი დღის სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად დაიკავა ეს ქალაქი. უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა სტალინმა მადლობა გამოუცხადა ლესელიძეს. იმ დღეებში ლესელიძე დაჯილდოებულ იქნა სუვოროვის 1-ლი ხარისხის ორდენით.

წითელი არმიის ნაწილებმა გასული წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჭერჩის სრუტეში გადაყარეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების ნაშთები და სავსებით გასწმინდეს მათგან ტამანის ნახევარკუნძული. და ამ ბრძოლებში კვლავ დიდებით შემოსა თავისი დროშები არმიამ, რომელსაც ლესელიძე ხელმძღვანელობდა. კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეს გენერალ-პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა, საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა კუტუზოვის 1-ლი ხარისხის ორდენით.

შემდეგში ამხანაგი ლესელიძე მეთაურობდა ნაწილებს, რომლებიც უკრაინის პირველი ფრონტის შემადგენლობაში შედიოდნენ. უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებში რამდენჯერმე აღინიშნა გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის ჯარების წარმატებითი მოქმედება.

ეს იყო გენერალი და ჯარისკაცი. რვა ორდენის კავალერი, იგი საუცხოოდ იცნობდა წითელი არმიის მეომართა საბრძოლო თვისებებს და უნარიანად იყენებდა მათ უაღრესად მძიმე ბრძოლებში. მან აღზარდა ათასობით მამაცი ჯარისკაცი და ნიჭიერი ოფიცერი, რომელთაგან ბევრნი უკვდავი სახელი მოუხვეჭა საბჭოთა იარაღს.

ლესელიძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მთელ წითელ არმიაში, საბჭოთა ხალხში.

საუკუნო დიდება მეომარსა და სტალინურ სარდალს, ჩვენი ბოლშევიკური პარტიისა და ხალხის ერთგულ შვილს, გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძეს!

მისი ნათელი სახე მუდამ იქნება დიადი ჰაგალითი თავდადებული სამსახურისა სამშობლოსადმი, რომელსაც კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძემ შესწირა ჴთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე.

ტიულენევი, ბაგიროვი, ჩარკვიანი, ეფიმოვი, არუთინოვი, კესტოვი, ხადეევი, ივანოვი, დრატვინი, გლუშენკოვი, სოროკინი, დემიდოვი, ჟუფარაძე, ბაგალაშვილი, ხუბულური, ჩხობაძე, სილაგაძე, მუსერიძე, ხიჟნიკი, რემიზოვი, მაისაია.

სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სომხეთის სსრ სახკომსაბჭოსაგან

სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სომხეთის სსრ სახკომსაბჭო ღრმა თანაგრძნობას გამოსთქვამენ მოძმე ქართველი ხალხის გამოჩენილი შვილის, სტალინური ნიჭიერი გენერლის — ლესელიძის უდროო გარდაცვალების გამო.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს მამაცმა შვილებმა უანკონო დიდებით შემოსეს თავიანთი ხალხის სახელი. საბჭოთა სომხეთის მშრომელნი ყოველთვის დიდი პატივისცემითა და უსაზღვრო მადლობით მოიგონებენ გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძეს, რომელმაც გერმანელ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში გამოიჩინა სტალინური სარდლის შესაბამისი ნიჭი, ინიციატივა, გაბედულობა, პატარდა სიმამაცე და უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება საბჭოთა სამშობლოსადმი, ბოლშევიკების პარტიისადმი და დიდ ბელად ამხანაგ სტალინისადმი.

ნიჭიერ გენერალ ლესელიძის უკვდავი ხსოვნა სამუდამოდ წარუხოცელი დარჩება ჩვენს გულში.

სამარადისო დიდება გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძეს.

სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი. **სომხეთის სსრ სახკომსაბჭო.**

კუბოსთან

წითელი და შავი ფერებით არის მორთული წითელი არმიის სახლის დიდი დარბაზი. დარბაზის შუაგულ ალმართულ ყვავილებით და გეირგვინებით მორთულ მაღალ კვარცხლბეკზე დასვენებულია კუბო ქართველი ხალხის მამაცი შვილის, წითელი არმიის გამოჩენილი მეთაურის გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის ნეშტით. კუბოსთან აწყვია გეირგვინები საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, საქ. სსრ სახკომსაბჭოსაგან, ამიერ-კავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოსაგან, ამიერ-კავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველოსაგან, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისაგან, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომისაგან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან, მახარაძის რაიონის მშრომელთაგან და მრავალი სხვა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან.

დარბაზის ერთ-ერთ კედელზე ჰკიდია სამგლოვიარო ჩარჩოში მოთავსებული პორტრეტი ვანსვენებულისა. კუბოსთან არიან განსვენებულის ჭირისუფლები, მახლობლები და ნათესავები.

დღის 2 საათზე გაიღო წითელი არმიის სახლის კარი. დაუსრულებლად მიდიან თბილისელი მშრომელები და მხედრობა—გენერლები, ოფიცრები, სერჟანტები და წითელარმიელები დიდი დარბაზისაკენ, რათა გამოეთხოვონ ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს, წითელი არმიის ერთ-ერთ საუკეთესო გენერალს კ. ნ. ლესელიძეს. სამხედრო ორკესტრი სამგლოვიარო ჰანგებს ჰფენს დარბაზს.

საღამოს 8 საათამდე არ შეწყვეტილა ადამიანთა ნაკადის დენა დარბაზში. კუბოსთან გაჩნეულ ყვავილებ იდგა თბილისის საარტილერიო სასწავლებლის ორდენოსან კურსანტთა საპატიო სამხედრო ყარაული.

დარბაზში გაისმა სიმფონიური ორკესტრის მიერ შესრულებული სამგლოვიარო მუსიკის ჰანგები. დაიწყო სამოქალაქო პანაშვიდი.

კუბოსთან საპატიო ყარაულში დადგნენ ამხანაგები კ. ჩარკვიანი, გ. სტუტუა, არმიის გენერალი ი. ტიულენევი და გენერალ-მაიორი ეფიმოვი. მათ სცვლიან ამხანაგები: მ. ბარამია, ვ. ბუჯაშვილი, ივანოვი და გუდიმენკო. სამოქალაქო პანაშვიდის განმავლობაში საპატიო ყარაულში იდგნენ ამხანაგები — ს. ხოშტარია, ი. კოკლამაზაშვილი, გლუშენკოვი, ანდრიაშენკო, მ. ჯაში, ს. იშხანოვი, დრატვინი, ა. ხადეევი, ვ. ეგნატაშვილი, ზ. ცეცხოველი, მ. ჩუბინიძე, კ. თარგამაძე, გ. გოჩაშვილი, ე. ჩერქეზია, ი. ტალახაძე, კ. ბარიგიანი, იოსავა, პეტეკრიოსტოვი, ვ. გრიგუა, ლ. რუხაძე, პოფ. კ. ერისთავი, პ. რეგელაძე, თ. ქვლივიძე, გ. კიკნაძე, კ. ცომაკურიძე, ა. ხუჯაძე, რ. კვირკველია, ლ. პეტრიაშვილი, ჟარიოვი, ნ. გიორგაძე, ი. მონიავა, ვ. სალაძე, ა. კვაკაძე, ვ. რობაქიძე, ვ. ლოლაძე, ა. ჩხეტიანი, მახარაძის რაიონის მშრომელთა დელეგაციის ხელმძღვანელი ს. ესაძე და სხვ.

საღამოს 9 საათზე დასრულდა სამოქალაქო პანაშვიდი და შესწყდა დარბაზში ხალხის შესვლა. დღეს 12 საათიდან კვლავ დაიწყება განსვენებულთან გამოთხოვება.

გამოჩენილი მხედართუფროსი

6 ნაწილის რიგითი მებრძოლნი, სერჟანტები და ოფიცრები თავიანთ ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, გამოჩენილი მხედართუფროსის კ. ნ. ლესელიძის უდროოდ გარდაცვალების გამო, რომელიც გმირულად იბრძოდა საზიზღარ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. რიგითი მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები ფიცს სდებენ, რომ ღირსეულად განაგრძობენ გენერალ-პოლკოვნიკ ლესელიძის საბრძოლო ტრადიციებს და მთელ ძალ-ღონეს მოახმარებენ ჩვენი გამარჯვების საქმეს.

ფედჩენკო, სეფისკვერაძე, ლობანიძე, დანელია, ტიომნი, არზუბოვი.



ამხანაგები ჩარკვიანი, სტურუა, ტიულენევი და ეფიმოვი საპატიო ყარაულში კ. ნ. ლესელიძის კუბოსთან.

დღეიდღე

ამერიკის თვითმფრინავების თავდასხმა გერმანიაზე

ლონდონი, 25 თებერვალი (საკადესი). როგორც საომარი მოქმედების ევროპის ასპარეზზე მოქმედი ამერიკის სტრატეგიული სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის შტაბი იუწყება, 25 თებერვალს ამერიკის მძიმე ბომბდამშენების დიდმა შენაერთებმა ამერიკისა და ინგლისის ავიაგამანადგურებელთა თანხლებით იერიში მიიტანეს საავიაციო ქარხანაზე რეგენსბურგში, ბურთულასაკისარის ქარხანაზე შტუტგარტში და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის სხვა ობიექტებზე. ყველა ეს ობიექტი გერმანიის შიდა რაიონებში მდებარეობს. რეგენსბურგზე თავდასხმის დროს თვითმფრინავებს 1.100-ზე მეტი მილის გაფრენა მოუხდათ. მფრინავები აღნიშნავენ დაბომბვის წარმატებითს შედეგებს.

ამერიკის მძიმე ბომბდამშენები უკვე მეხუთე დღეა ზედიზედ ბომბავენ გერმანიის საჰაეროციო ქარხნებს.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 25 თებერვალი (საკადესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 24 თებერვალს ღამით ინგლისის ბომბდამშენ ავიაციის თვითმფრინავებმა კვლავ მოახდინეს 1.000-ზე მეტი გაფრენა. დაბომბვის ძირითადი ობიექტი იყო შვაინფურტი, რომელმაც ამ ღამის განმავლობაში ორჯერ განიცადა თავდასხმა. გარდა ამისა, დაბომბილ იქნა ობიექტები ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში. ინგლისელთა 35 თვითმფრინავი ბაზებში არ დაბრუნებულა.

25 თებერვალს დილით იერიში მიტანილ იქნა საამზედრო ობიექტებზე ჩრდილოეთ საფრანგეთში.

24 თებერვალს ამერიკის ბომბდამშენები კვლავ დაესხნენ თავს შტეირ-დაიმლერის ქარხანას შტეირში (ავსტრია). ამერიკის ბომბდამშენთა სხვა შენაერთებმა იერიში მიიტანეს ნავთსაწყობებზე ქარხნებზე ფიუშეში.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 25 თებერვალი (საკადესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების ძალა-ჯარი ბანაკი იუწყება, რომ ამერიკის მე-5 არმიის ნაწილებმა გიეუმჯობესეს პოზიციები ძირითად ფრონტზე და ხიდწინა სიმაგრეზე. მოწინააღმდეგემ სამი იერიში მიიტანა: ერთი ძირითად ფრონტზე და ორი—ანციოს რაიონში. ყველა იერიში მოგერიებულია. ინგლისის მე-8 არმიის ფრონტზე მთელ რიგ ადგილებში მოხდა შეტაკება მტერთან, ამასთან მოწინააღმდეგეს მივაყენეთ ზარალი და წამოიყვანეთ ტყვეები. ყველა ფრონტზე პატრულები მოქმედებდნენ.

24 თებერვალს მოკავშირეთა ავიაციამ თავს დაესხა მტრის აეროდრომს ფაბრიკა დი რომაში (ცენტრალური იტალია), სამხედრო ობიექტებს იუგოსლავიის სანაპიროზე და იტალიის დასავლეთ სანაპიროზე.

ა. შ. შტატების იუსტიციის სამინისტრო ესპანელთა ფალანგის შესახებ

ვაშინგტონი, 24 თებერვალი (საკადესი). ა. შ. შტატების იუსტიციის მინისტრმა ბიდლმა გამოაცხადა, რომ მან დაიწყო სასამართლო საქმე იმ მიზნით, რათა ესპანელ ფალანგისტს ფერნანდესს ჩამოერთვას ამერიკის მოქალაქეობა, რაც მან 1942 წელს მიიღო. ამავე დროს ბიდლმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ფალანგას ახასიათებს, როგორც „იტალიის ფაშისტური და გერმანიის ნაციასტური პარტიების ესპანური პროტოტიპს“.

ბიდლმა განაცხადა, რომ ფერნანდესის საქმე ფალანგისადმი კუთვნილებისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევის პირველი შემთხვევაა. ა შ. შტატების მთავრობას განზრახვა აქვს კამოიყენოს ასეთივე ზომები სხვა ფალანგისტთა წინააღმდეგ.

ა. შ. შტატების ნარმომადგენელთა პალატამ კვლავ მოინონა კანონპროექტი გადასახადების შესახებ

ვაშინგტონი, 25 თებერვალი (საკადესი). გუშინ ა. შ. შტატების წარმომადგენელთა პალატამ 299 ხმით 95 ხმის წინააღმდეგ მოიწონა კანონპროექტი გადასახადების შესახებ, რასაც პრეზიდენტმა რუზველტმა 22 თებერვალს ვეტო დაადო.

რუზველტი იაპონიის ფლოტის 1943 წლის ზარალის შესახებ

ლონდონი, 25 თებერვალი (საკადესი). რეიტერის სააგენტო, იმოწმებს რა ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობებს, გადმოგვცემს: „პრეზიდენტმა რუზველტმა განაცხადა, რომ 1943 წელს ა. შ. შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებმა წყნარ ოკეანეში ჩასძირეს იაპონიის 1.000-ზე მეტი სატრანსპორტო გემი და კარავპაი“.

იტალიის ანტიფაშისტური პარტიების კონგრესის აღმასკომის პროტესტი

ალჟირი, 22 თებერვალი (საკადესი). ნეაპოლიდან იუწყებიან, რომ აღმასრულებელმა კომიტეტმა, არჩეულმა იტალიის ანტიფაშისტური პარტიების კონგრესზე, რომელიც შესდგა ბარში 28 და 29 იანვარს, მოკავშირე ქვეყნების მთავრობებს მიმართა საჩივრით კონგრესის მიმართ იტალიელ და მოკავშირე ხელისუფალთა მოქმედების გამო. კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტი უუწყება, რომ, თუმცა კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო ხელისუფალთა დაპირება, რომ ყველა კამოსვლა კონგრესზე ტრანსლირებული იქნებოდა რადიოთი, მაგრამ კონგრესის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მიიღეს ცნობა, რომ აკრძალულია კონგრესზე წარმოებული კამათის ტრანსლირება რადიოთი.

საფრანგეთის, საბერძნეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებს, რომლებიც კონგრესის დროს ბარში იმყოფებოდნენ, აეკრძალათ კონგრესზე გამოჩენა. ეს აეკრძალათ აგრეთვე მოკავშირეთა არმიების ოფიცრებს. ამ აკრძალვამ, როგორც ნათქვამია აღმასრულებელი კომიტეტის საჩივარში, კონგრესს შესაძლებლობა წაართვა გამოეხატა თავისი სიმპატიები მოკავშირეთადმი და იმ ქვეყნების წარმომადგენელთადმი, რომლებიც იტალიის ფაშიზმის აგრესიის მსხვერპლნი არიან.

ინგლისის საზღვაო მინისტრის გამოსვლა ბელფასტში

ლონდონი, 25 თებერვალი (საკადესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო ვადმოგვცემს, საზღვაო მინისტრი ალექსანდერი ბელფასტში (ჩრდილოეთი ირლანდია) გამოვიდა სიტყვით წითელი არმიის XXVI წლისთავის გამო.

„დღეს, — სთქვა ალექსანდერმა,—ჩვენ აღვნიშნავთ სსრ კავშირის წითელი არმიის საგმირო საქმეებს. განსხვავება რუსეთის ფრონტზე ამ ერთი წლის წინათ არსებულ და დღეანდელ მდგომარეობას შორის საუკეთესო ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა დავიოლიანის რომელიმე მებრძოლისა და—მთელი საქმე ჩაიშლებოდა. მარცხნივ ზღვის-პირას, ხანძრების ბოლისაგან ჩაშავებულ ვენახს პატარა ხეი გასდევდა, მაგრამ მოასწრებდა თუ-არა გათენებამდე დავითულიანის ქვეგანაყოფი ამ ხეზე შეეფინვას!

მეორე ეტაპის წარმატებას სისწრაფე სწყვეტდა: გარემმოვლენ ქვეგანაყოფს ისეთი ელვისებური ნახტომი უნდა გაეკეთებინა უტაშის დამცველ მაღლობებზე, რომ დავითულიანის მანევრით ბუდიდან ამოვარდნილ ფერმარელს ირგვლივი თავდაცვის მოწესრიგება ვერ მოესწრო.

შედეგად თუ არა, დავითულიანმა ფრთხილად დასძრა თავისი ქვეგანაყოფი.

თუ როგორ ბრწყინვალედ შეასრულა მან სარდლობის პირანება, ეს იქიდანაც სჩანდა, რომ მთელი ღამის განმავლობაში გერმანელები მხოლოდ ჩვეულებრივ, შემაწუხებელ სროლას აწარმოებდნენ. მტერმა ვერ შენიშნა დავითულიანის მოძრაობა. მისმა ქვეგანაყოფმა ისე დაიკავა ადრევე დათქმული ზღუდე, რომ ერთი მებრძოლიც არ დაუკარგავს. დილა-ბნელზე მდუმარე ზღვისპირი ათასმა მეხმა გამოაღვიძა; გერმანელთა ზარბაზნების გრიალში ეკვსლულიანი ნაღმსატყორცნების ყეფაც შეერია.

— დაიწყო! — ჩაილაპარაკა ქანთარიამ; იგი მთელი ღამე ფეხზე იდგა და დაძაბული ადევნებდა თვალყურს დავითულიანის ქვეგანაყოფს. იგი ძმაყოფილი იყო, რომ „დაიწყო“ სწორედ იმ დროს და იმგვარად, როგორც მას ეწადა.

მცირეხნის შემდეგ გერმანელთა ბატარიები მიეყრდნენ. სამაგიეროდ თოფების სროლა გახშირდა, ავერ გრანატების აფეთქებაც ჩაისმა; ეგ იმას ნიშნავდა, რომ ეხლა დავითულიანი გერმანელთა სანგრების ახლო იბრძოდა.

კარგად რომ მოთენდა, უფროსმა ლეიტენანტმა მამანტი კვარაცხელიამ მაიორს აცნობა: მტერმა სოფლის გარნიზონი და მთელი რეზერვი ჩვენ მოგვეყარა და გარემოცვას გვიპირებსო.

მუდამ მშვიდი და აუჩქარებელი ქანთარია ეხლა ოდნავ ღელავდა. ეგ იყო სიხარულის მღელვარება. ბრძოლის პირველი ეტაპი დასრულებული იყო. მტერი აკეთებდა იმას, რასაც მაიორი გარაუდობდა. ეხლა საჭირო იყო ტაქტიკის განსაკუთრებული სიზუსტე და ბოქნილობა, ქვეითებისა და არტილერისტების მარჯვე თანამოქმედება, რომ ვიდრე გერმანელები ჩვენი დარტყმის მთავარ მიმართულებას გამოარკვევდნენ, ქართველი მებრძოლები გზატკეცილზე გასულიყვნენ. საჭირო იყო წარმოუდგენელი სისწრაფე და გაბედულება, და ჩვენებიც ლომებად იქცნენ ამ გადამწყვეტ წუთში...

მტერი მხოლოდ მაშინ მიხვდა თავის შეცდომას, როდესაც ქართველები უტაშის ვენახებსა და მოუტეხავ სიმინდებში შეიჭრნენ.

თავზარდაცემულმა გერმანელებმა არამცოუ ტყვეობაში გასარეკად აღრიცხული უტაშელი მცხოვრებები, — მანქანებზე დატვირთული საკუთარი თუ ნაქურდალი ჭონება, მთელი სამხედრო საკუთრეული, მახლობელ სოფლებიდან გამოტაცებული საქონელი — ყველაფერი სასწრაფოდ დასტოვეს და უანგოუხედავად გაიქცნენ. დაჭრილთა გაყვანაც ვერარ მოახერხეს. ვერცერთი სახლის აფეთქებაც ვეღარ მოასწრეს. მათი სასაფლაოც ხელუხლებელი იყო. ხელუხლებელი, — იმიტომ ვამბობ, რომ ფაშისტები ამთავრებენ სოფლიდან გაქცევისას, საფლავის ჯვრებს იღებდნენ და სწვავდნენ, საფლავის ყორღანებს მიწასთან ასწორებდნენ. ამას იმიტომ ეჩადიოდნენ, რომ ჩვენგან მიყენებული ზარალი დაემალათ.

შუადღისას სოფელ უტაშის რაიონში არცერთი შეიარაღებული გერმანელი აღარ იყო. მტერი თავქუდ-მოგლეჯილი გარბოდა გირლიანის მთა-გორებზე ახლად აღმოჩენილ გერმანელთა ბლინდაჟებსა და ძელმიწურებს; მალე ამ ფაშისტურ ბუნაგებს ჩვენი მამაცი მეომრები სასიკვდილო წრეს შემოავლებდნენ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სესია

25 თებერვალს ნარმოებულ [illegible] ინსტიტუტის თანამშრომლების [illegible] შესდგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეშვიდე სესიის დასკვნითი ლიტერატურული სხდომა.

კრებამ მხურვალე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია დიდი სტალინი და ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიკოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. პ. ბერია, ნ. მ. შვერნიკი, გ. მ. მალენკოვი, ა. ს. შჩერბაკოვი, ნ. ა. ვოზნესენსკი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის წინადადებით სესიამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის ხსოვნას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ს. ნ. ჯანაშიამ დაასწრეთ გააცნო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა არჩევნების შედეგები.

დამსწრეთა ტაშის გრიალში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ახლად არჩეულმა წევრებმა და წევრმა-კორესპონდენტებმა დაიკავეს ადგილი პრეზიდიუმში.

ფარული კენჭისყრით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრებად ერთხმად იქნენ არჩეულნი საბჭოთა ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები—სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ლ. კომაროვი და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. ა. ბოგომოლეცი.

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. ნ. კეცხოველის მოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის შესახებ 1943 წელში.

კრება მხურვალე ერთსულოვანი ტაშით შეხვდა წინადადებას, რომ მისალმება გაეგზავნოს დიდ სტალინს. მისალმების ტექსტი წაიკითხა აკადემიკოსმა ს. ნ. ჯანაშიამ.

კრებამ მხურვალე ერთსულოვანი ტაშით მიიღო მისალმება დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლ. პ. ბერიასადმი. მისალმების ტექსტი წაიკითხა აკადემიკოსმა ა. ნ. ნათიშვილმა.

უკვდავვყოთ კიეველ ფეხბურთელთა ხსოვნა

ძვირფასი ინიციატივა წამოიწყეს ქუთაისის რაიონის სოფელ ოფშკვითის ვორონშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურელმა ვაჟებმა და გოგონებმა. 22 თებერვალს შესდგა მიტინგი, რომელზეც მათ გააცნეს კიეველ ფეხბურთელთა გმირული ომქმედების შესახებ. ინფორმაციით გამოვიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. კიხარია. სიტყვით გამოვიდა კოლმეურნეობის ორდენოსანი თავმჯდომარე; ფიზკულტურული კოლექტივის ცხენოსანთა სექციის ხელმძღვანელი ერმილე კაპანაძე, რომელმაც განაცხადა:

— ჩვენი კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი ომამდე იყო გამოფენის მიენაწილე და დაჯილდოებულია ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის სპატიო სიგელით. ბევრი ჩვენი ფიზკულტურელი სამშობლო ომის ფრონტზეა, მაგრამ ომის დღეებში ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივი კიდევ უფრო გაძლიერდა. სახელოვანი კიეველი ფიზკულტურელების მხეცური მკვლელობა შურისგებისაკენ მოგვიწოდებს. შეშმაქვს წინადადება დავიწყოთ სახსრების შეგროვება კიევის ფეხბურთელთა სახელობის საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების ასაგებად. პირადად შემომაქვს ათასი მანეთი.

იქვე მიტინგზე დაიწყო სახსრების შეგროვება. სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ მარგველაშვილმა, რომელიც საუკეთესო ცხენოსანია, ამ ფონდში შეიტანა ერთი თვის ხელფასი, ელჭოს მოთამაშემ მურდულიამ — 500 მანეთი, ფიზკულტურელმა ქალებმა ეკა ინანიშვილმა, ელენე ქებულაძემ, გალინა კაპანაძემ, გალინა ინანიშვილმა — თითოეულმა 500 მანეთი, ომის მონაწილე ფიზკულტურელმა დეისაძემ — 300 მანეთი და სხვ.

მოკლე ხანში ნარდ ფულად შეაგროვეს 25 ათასი მანეთი. ოფშკვითის ვორონშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი მოწოდებით მიმართავს საქართველოს ყველა საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებს, რათა შეაგროვონ თანხები კიეველ ფეხბურთელთა სახელობის ესკადრილიის ფონდისათვის.

შ. ჯავახაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თეატრებში

26 თებერვალს: სახოპერა—„ტრავიატა“. რუსთაველის—„ოლეკო დუნდიჩი“. მარგველაშვილის—„მეფე ერეკლე“. გრიბოედოვის — „ს